თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №6

თბილისი, 14 სექტემბერი, 2016

სხდომა დაიწყო 18.30 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე მირიან მჭედლიშვილი;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე ბესიკ დევდარიანი;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ეკა სეფაშვილი;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ თალაკვაძე;
- მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვლადიმერ ყუშიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ნინო მინდიაშვილი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- მარიამ სხილაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიგა დაიაური – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩეველი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისია – გიორგი კალანდარიშვილი.

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ სალუაშვილი;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ირაკლი კობახიძე;
- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ – თამარ ზურაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი“ (NDI) – ნატაშა როტჩაილდი;
- „ევროპის საბჭო“ (COE) – არჩილ ფაშალიშვილი;
- „ეუთო-ს სადამკვირვებლო მისია“ (OSCE/ODIHR) – ენირა ბრონიტსკაია;
- „ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი“ – შორენა ლათათია;
- ვენეციის კომისიის გრძელვადიანი ექსპერტი – სერჰი კალჩენკო;
- ევროკავშირის წარმომადგენლობა – ნინო ღუდუშაური.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე;

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – ლევან ნატროშვილი;
– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
– „ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;
– „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
– „საზოგადოებრივი დამცველი“ – დემეტრე ლომაძე;
– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – მარინა ბენდელიანი;
– „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
– „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI) – ედუარდ მარიკაშვილი;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ანა გურიელი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1) **შესაძლო ძალადობისა და აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები:**

- ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ თაიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ აზა საჯაიას სახლში სამართალდამცველთა შესვლისა და ჩხრეკის თაობაზე;
- 12 სექტემბერს დუშეთის პოლიციაში „ლეიბორისტული პარტიის“ წევრ (საარჩევნო სიის მეექვსე ნომერი) თემურ წიკლაურის დაბარებასთან დაკავშირებით;
- აჭარაში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების (ფატი ხალვაშისა და ვახტანგ წულაძის) ამომრჩევლებთან შეხვედრის ხელშეშლა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მხრიდან;
- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსის“ მიერ თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სოსო შატბერაშვილის წარდგენის დროს განხორციელებული შესაძლო თავდასხმის თაობაზე; ინციდენტში მონაწილე

პირებს ეცვათ „ლეიბორისტული პარტიის“ მაისურები და იყვნენ არაფხიზელ მდგომარეობაში;

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში (უბისასა და ბორითში) პოლიტიკური გაერთიანების – „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მოსახლეობასთან შეხვედრის ხელშეშლის მცდელობასთან დაკავშირებით.

2) **ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებზე შემოსული განცხადებების განხილვა:**

- ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ვოლსკის წინასაარჩევნო შეხვედრებსა და აგიტაციაში სამუშაო საათებში სისტემატურად ჩუღურეთის გამგეობის თანამშრომლების მონაწილეობის თაობაზე;
- ქ. თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს“ მიერ საბავშვო ბაღების დირექტორებთან გაგზავნილი კითხვარი, რომელშიც ერთ-ერთი შეკითხვა მათი პოლიტიკური აქტიურობის შესახებ იყო შესული;
- ქ. ფოთის მერიის საჯარო მოხელეების მხრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან შეხვედრისა და ინსტრუქციების შესაძლო მიცემის თაობაზე.

3) **სააგიტაციო მასალის განთავსების ხელშეშლის შესაძლო ფაქტები:**

- სოფ. ნინოწმინდაში, ქ. რუსთავში, ქ. წყალტუბოსა და ქ. თბილისში, ასევე, 4 მუნიციპალიტეტში (ონში, ცაგერში, ლენტეხსა და ამბროლაურში) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ ბანერების განთავსების შესაძლო ხელშეშლის, დაზიანებისა და მოპარვის თაობაზე;
- ქალაქ გურჯაანსა და სოფელ ჩალაუბანში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ დავით სონღულაშვილის სააგიტაციო მასალების ჩამოხევის თაობაზე;
- საგარეჯოში „პატრიოტთა ალიანსის“ ბანერების განთავსების პრობლემასთან დაკავშირებით;
- ქ. თბილისში პლაკატების გასაკრავი ადგილების გამოყოფასთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე (განცხადების განხილვა („ახალი თაობა – დემოკრატიული საქართველოსთვის“).

4) მცხეთაში მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის (ცეზარ ჩოჩელის) მიერ საარჩევნოდ თანხების ხარჯვის კანონიერებასთან დაკავშირებით – საგურამოს სკოლის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი.

5) სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას გააცნო 2016 წლის 7 სექტემბრის სხდომაზე დაანონსებული ვიდეორგოლის გადაღებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა. ქალბატონი თეა წულუკიანის ინფორმაციით, უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით, წინასაარჩევნო პერიოდში ძალადობის პრევენციისა და ძალადობის წინააღმდეგ პარტიების მონაწილეობით ვიდეორგოლის გადაღება, რომლის სლოგანია „ძალა ვნებს არჩევნებს" უკვე დაწყებულია და მალე დასრულდება. თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა იმ 11 პარტიის წარმომადგენლებს, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ვიდეორგოლში მონაწილეობაზე.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა წინა სხდომაზე განხილულ ცემის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მარტვილში სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის (ზაზა გოროზიას) რძლის – ოლგა ჩურკანოვას მიერ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" წარმომადგენელი ქალბატონების ფიზიკურ შეურაცხყოფას. კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, ცესკო-მ იმსჯელა მოცემულ საკითხზე და შედეგად აგრესიის გამომვლენ პირს შეუწყვიტა საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის უფლებამოსილება. ამასთან, გიორგი გაბიტაშვილის (მთავარი პროკურორის მოადგილე) ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს ცემის მუხლით, შეკრებილია მტკიცებულებებიც, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილება უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და ამჟამად საქმე უკვე სააპელაციო სასამართლოშია განსახილველად, სამართალდამცავი ორგანოები ელოდებიან დავის დასრულებას საერთო სასამართლოებში.

დღის წესრიგის თანახმად, კომისიამ მოისმინა ინფორმაცია უფლებამოსილი უწყებების მხრიდან რეაგირების შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ თაიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერ აზა საჯაიას სახლში სამართალდამცველთა შესვლისა და ჩხრეკის ფაქტზე. გიორგი გაბიტაშვილის ინფორმაციით, აზა საჯაიას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩატარდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, სადაც ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 6 ცალი საბრძოლო ვაზნა და მიმდინარეობს გამოძიება. რადგან ეს საგამოძიებო მოქმედებები იარაღის უკანონო შეძენა-

შენახვის ფაქტზე განხორციელდა, ბატონი გიორგის განცხადებით, რაიმე პოლიტიკურ მოტივებზე საუბარი უსაფუძვლო იყო და სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა") რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, ჩხრეკისას ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. ქალბატონმა ნინო მინდიაშვილმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო) საკითხთან მიმართებით სხდომის დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ჩხოროწყუში განხორციელებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 31 აგვისტოს ჩხრეკა კანონიერად იქნა ცნობილი.

კომისიის თავმჯდომარე შეეხო „ლეიბორისტული პარტიის" განცხადებას პარტიის წევრ თემურ წიკლაურის პოლიციაში დაბარებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ სხდომას არ ესწრებოდა წარმომადგენელი, სამდივნოს დაავალა, მათ მიერ კომისიაში წარმოდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ განხორციელებულ რეაგირებებზე პარტიისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია.

შემდგომ კომისიამ იმსჯელა აჭარაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მხრიდან „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატების (ფატი ხალვაშისა და ვახტანგ წულაძის) ამომრჩევლებთან შეხვედრის ხელშეშლაზე. ბატონი ირაკლი კობახიძის ინფორმაციითაც („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"), მართალია, საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა, თუმცა, ადგილი ჰქონდა კონტრაქციას. მისი თქმით, მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, კონტრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან მაინც განმეორდა. ირაკლი კობახიძემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სხდომის დამსწრეთ მომხდარი ინციდენტისა და კონტრაქციაში მონაწილე პირების შესახებ, შემდეგ კი ნაჩვენები იქნა აჭარაში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა.

კომისიის თავმჯდომარემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს მიმართა კითხვით – იყვნენ თუ არა გაფრთხილებულნი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები კონტრაქციებისა და სხვა მსგავსი ქმედებებისგან თავის შეკავების შესახებ, როგორც ეს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ლიდერებმა გააკეთეს საკუთარ მხარდამჭერებთან მიმართებით. თინათინ ბოკუჩავას ინფორმაციით, მსგავსი ინსტრუქცია, გავრცელდა მათ აქტივისტებშიც.

კომისიის თავმჯდომარემ, არსებული წინასაარჩევნო ვითარებიდან გამომდინარე, კითხვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას – ხომ არ იდგა რეკომენდაციის კვლავ გამოცემის საჭიროება, რათა აღიკვეთოს კონტრაქციები და პოლიტიკური პარტიების (საარჩევნო

ab

სუბიექტების) აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ან მათი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან, რითაც გამოირიცხება პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების რისკი.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა, ასევე, კითხვით მიმართა პარტიების წარმომადგენლებს – შეძლებდნენ თუ არა ამგვარი რეკომენდაციის შესრულების უზრუნველყოფას, რასაც გამოეხმაურნენ სხდომაზე დამსწრენი („ზვიადის გზა – უფლის სახელით", „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო"), რომელთაც რეკომენდაციის შესრულების მზაობა გამოხატეს.

კონტრაქციების საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"), რომელმაც წინადადება წამოაყენა, რეკომენდაციებთან ერთად პარტიებს შორის შემუშავებულიყო დოკუმენტი – ერთგვარი ქცევის კოდექსი, რომლის საფუძველზეც პოლიტიკური პარტიები ხელმოწერით აიღებდნენ პასუხისმგებლობას თავიანთი წარმომადგენლების მხრიდან მემორანდუმით განსაზღვრული მოვალეობის შესრულებაზე. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სახელით მზადყოფნა გამოთქვა და მიესალმა ამ ინიციატივას, ხოლო დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესთავაზა, კომისიასთან ერთად თავადაც ემუშავათ დოკუმენტის ტექსტზე, რის შემდეგაც საბოლოოდ პარტიებზე იქნებოდა დამოკიდებული, მოაწერდნენ თუ არა ხელს შემუშავებულ დოკუმენტს.

კომისიამ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი საკითხი, რომელიც შეეხებოდა „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსის" მიერ თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სოსო შატბერაშვილის წარდგენის დროს განხორციელებულ შესაძლო თავდასხმასა და სატელეფონო ზარით განხორციელებულ სავარაუდო მუქარას.

ქალბატონმა ნინო მინდიაშვილმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო) საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის დუშეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. ზეპირი გასაუბრებისას სოსო შატბერაშვილმა განმარტა, რომ მოსახლეობასთან შეხვედრისას, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა 4-მა უცნობმა პიროვნებამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მის ტელეფონზე შევიდა ზარი. მან დაასახელა ტელეფონის ნომერი, რომლიდანაც დაურეკეს და დაემუქრნენ. ქალბატონი ნინო მინდიაშვილის ინფორმაციით, ტელეფონის ნომრის მფლობელი აღმოჩნდა „ლეიბორისტული პარტიის" წევრი თემურ წიკლაური, რომელმაც გამოკითხვისას დაადასტურა, რომ მის მიერ განხორციელდა ზარი სოსო შატბერაშვილის ტელეფონზე, მაგრამ, მისი თქმით, მან გააკეთა მხოლოდ პოლიტიკური განცხადება და ადგილი არ ჰქონია არანაირ მუქარას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ბატონმა პაატა ჯიბლაძემ („კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი"), რომელმაც განაცხადა, რომ სოსო შატბერაშვილის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენისას ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, რომელიც, მისი თქმით, მოწყობილი იყო შალვა ნათელაშვილის მითითებით. თემურ წიკლაურთან დაკავშირებით ბატონმა პაატამ განაცხადა, რომ იგი არის შალვა ნათელაშვილის პირადი დაცვა. მისი თქმით, სოსო შატბერაშვილის მიმართ წიკლაურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია არანაირ პოლიტიკურ განცხადებას, არამედ ეს იყო მუქარა და მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომლის მოწმეც მათი პარტიის არაერთ წევრთან ერთად თვითონაც გახლდათ. ბატონ პაატა ჯიბლაძეს გამოეხმაურა ბატონი გიორგი გაბიტაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოიკითხებოდა მოწმის სახით, რაც საქმის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა.

შემდეგ ქალბატონი თეა წულუკიანი შეეხო ბატონი პაატა ჯიბლაძის მიერ სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომლის თანახმადაც, ავჭალაში, ლიბანის ქუჩის მცხოვრებთ, 40-მდე ოჯახს, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა არ აქვთ და პრობლემა ექმნებათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მხრივ.

კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, საკითხის შესასწავლად ადგილზე გასული იყვნენ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" თანამშრომლები და, მიღებული ინფორმაციით, შენობა, სადაც დასახელებული ოჯახები ცხოვრობენ, მერიის ბალანსზეა (4 თვის წინ საპატრიარქომ მერიას გადასცა კუთვნილებაში). დადგინდა, რომ მათ პირადობის მოწმობების პრობლემა არ აწუხებთ; თითქმის ყველას აქვს ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობა (მისამართის გარეშე რეგისტრირებული), მათი პრობლემაა ფართების საკუთრებაში რეგისტრაცია. აქვე ქალბატონმა თეა წულუკიანმა დაამატა, რომ ცესკო-ს დადგენილების საფუძველზე მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირებიც შედიან საარჩევნო სიებში. შესაბამისად, აღნიშნულ მოქალაქეებსაც ექნებათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კომისიის თავმჯდომარე შემდგომ შეეხო დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხს, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს მოიცავდა; კერძოდ, ჩუღურეთის რაიონში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ვოლსკის წინასაარჩევნო შეხვედრებზე სამუშაო საათებში ჩუღურეთის გამგეობის თანამშრომლების მონაწილეობის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი) განაცხადა, რომ, მერიის მიერ

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამგეობის თანამშრომლებს საარჩევნო კოდექსის ნორმები არ დაურღვევიათ, რადგან ეს პირები აგიტაციაში მონაწილეობდნენ არასამუშაო საათებში ან შესვენების დროს. მისი თქმით, ჩუღურეთის რაიონის გამგებელი გამორიცხავს მსგავს ქმედებებს, რადგან დასახელებული თანამშრომლები გაეცნენ სპეციალურ ინსტრუქციებს.

მომდევნო განსახილველი საკითხი იყო თბილისის მერიის ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღის მართვის სააგენტოს" მიერ საბავშვო ბაღების დირექტორებთან გაგზავნილი კითხვარი, რომელშიც ერთ-ერთი შეკითხვა შეეხებოდა მათ პოლიტიკურ აქტიურობას.

ამ საკითხზე ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ კითხვარში ერთ-ერთ კითხვა უბრალოდ შეეხებოდა იმას, თუ პოლიტიკურად რამდენად აქტიურნი იყვნენ და არა იმას, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს აძლევდნენ ხმას. მისი თქმით, კითხვა გამომდინარეობს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონიდან. ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის ნათქვამი დაადასტურა ქალბატონმა ეკა სეფაშვილმა (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე).

სხდომის თავმჯდომარემ ზემოაღნიშნული კითხვარი უარყოფითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის კითხვების დასმა არ არის მიზანშეწონილი, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, და პიროვნებაზე ზეწოლის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. მან მიმართა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს და დამსწრე უწყებების წარმომადგენლებს, წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო სამსახურებში მსგავსი კითხვარის წარმოებისგან თავის შეკავების მიზნით გაცემულიყო მკაცრი მითითებები. ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ მოიწონა კომისიის თავმჯდომარის განცხადება.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა გააკეთა განცხადება დღის წესრიგის შემდგომ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ფოთის მერიის საჯარო მოხელეების მხრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებთან შეხვედრისა და ინსტრუქციების შესაძლო მიცემის ფაქტს. მისი თქმით, საჩივარში მოხსენიებული 9 პირი საერთოდ არ მუშაობს მერიაში, არც მერიის შპს-ში ან ა(ა)იპ-ებში, ხოლო დანარჩენი 10 პირი, ფაზისობის დღესასწაულთან დაკავშირებული სამზადისიდან გამომდინარე, სხვადასხვა ადგილას საქმეზე იყვნენ გასული და მოწოდებული ინფორმაციით რთულია დადგენა, თუ კონკრეტულად ვინ რატომ იყო გამოსული სამსახურიდან. ამასთან, როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, საქმეს სწავლობს საოლქო საარჩევნო კომისია და მართებული იქნებოდა, დალოდებოდნენ შედეგებს.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია დიმიტრი ხუნდაძის („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მცხეთაში) განცხადებასთან დაკავშირებით მცხეთაში მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატის (ცეზარ ჩოჩელის) მიერ საგურამოს სკოლის ფინანსური მხარდაჭერის საკითხზე. როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში მიმდინარეობს ამ ფაქტის მოკვლევა და შედეგები უახლოეს მომავალში გახდებოდა ცნობილი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ლია გიგაურს. მისი განცხადებით, სკოლიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დირექტორი ადასტურებს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების გამო სხვადასხვა ბიზნესკომპანიისათვის, მათ შორის, „ქართული ლუდის კომპანიისათვის“, მიმართვის და ფინანსური დახმარების მიღების ფაქტს. ქალბატონი ლიას თქმით, მათი შიდა აუდიტის სამსახურიც იკვლევს ამ საკითხს, თუ რა ოდენობის შემოწირულობა მიიღო სკოლამ და რამდენად კანონიერად განხორციელდა ეს მოქმედება.

კომისიამ დღის წესრიგის თანახმად განიხილა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა სოფ. ნინოწმინდაში, ქ. რუსთავში, ქ. წყალტუბოსა და ქ. თბილისში, ბანერების განთავსების შესაძლო ხელშეშლისა და დაზიანებისა ფაქტებს.

კომისიის თავმჯდომარემ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან განხორციელებულ რეაგირებებთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ქალბატონ ნინო მინდიაშვილს (შინაგან საქმეთა სამინისტრო), რომლის განცხადებითაც, ნინოწმინდაში ზურაბ ჭიაბერაშვილის ბანერის ჩამოხსნის თაობაზე საგარეჯოს რაიონულმა პოლიციამ დაკითხა ბატონი თამაზ ძულიაშვილი, რომელმაც დაადასტურა ბანერის ჩამოხსნის ფაქტი. ეს ქმედება მან ახსნა იმით, რომ ბანერი განთავსებული იყო მაღალი ძაბვის სადენებთან და უამინდობაში ქმნიდა მოკლე ჩართვის საშიშროებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომში ბატონი თამაზი დაუკავშირდა კომპანიას, რომელთანაც სიტყვიერი შეთანხმება ჰქონდა და ითხოვა ბანერის ჩამოხსნის ნებართვა. ბატონი ძულიაშვილის თქმით, მასზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა.

ქალბატონმა ნინო მინდიაშვილმა კომისიას მოახსენა, რომ მიმდინარეობს წინასწარი საგამოძიებო მოქმედებები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაზიანებული ბანერის თაობაზე. აქვე ისაუბრა თბილისში ამავე პარტიის საბურთალოს რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატ სევდია უგრეხელიძის ბანერის დაზიანების ფაქტზე, რაზეც სსკ 187-ე მუხლით დაწყებულია გამოძიება; დაიკითხა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შტაბის უფროსი აკაკი კილასონია, რომელმაც

დაასახელა კონკრეტული ავტომობილი, რომლითაც, სავარაუდოდ, განხორციელდა ბანერის დაზიანება. მიმდინარეობს ავტომობილის მფლობელის ვინაობის დადგენა და იგეგმება მისი გამოკითხვა.

ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ სევდია უგრეხელიძის ბანერი უკვე მეორეჯერ დაზიანდა და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება მალე დაასრულებდა საქმის გახსნას. მან აღნიშნა, რომ ხშირია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მომხრეების დაშინების ფაქტები; მათ შორის, ყურადღება გაამახვილა ქ. რუსთავში ამ უწყების თანამშრომელზე, ვინმე სავლე მოთიაშვილზე, რომელიც, ქალბატონი თინათინის თქმით, აიძულებს კომპანიებს, არ გააფორმონ ბანერების განთავსების ხელშეკრულება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებთან. სწორედ ამ პიროვნებამ ჩაშალა უკვე შეთანხმებული ხელშეკრულებები შპს „ფორტუნა მედიასთან".

ქალბატონმა თეა წულუკიანმა, როგორც წინა სხდომაზე, ამჯერადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოში არსებული მშვიდი ვითარება, პირველ რიგში, სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურის დამსახურებაა და ეს უწყება არ უნდა გახდეს უსაფუძვლო და მუდმივი კრიტიკის ობიექტი.

საკითხთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა ბატონმა მირიან მჭედლიშვილმა (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე). მისი განცხადებით, უწყება დეტალურად შეისწავლის თითოეული საქმეს თუ შენიშვნას და აქამდე მოწოდებული არცერთი განცხადება არ იყო საფუძვლიანი და დასაბუთებული.

სავლე მოთიაშვილთან დაკავშირებით, ბატონმა მირიანმა განმარტა, რომ იგი არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი ღირსეული და გამორჩეული გამომძიებელი, რომლის დამსახურებაც არის ბოლოს დროს გახმაურებული ტერაქტის მცდელობის საქმის გახსნა, და, რა თქმა უნდა, ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული ამ პიროვნების მხრიდან სარეკლამო კომპანიებზე განხორციელებული რაიმე სახის ზეწოლა. აქვე მან კომისიის თავმჯდომარეს დამსწრე პირებისთვის გასაცნობად გადასცა სავლე მოთიაშვილის მეუღლის მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადება, რომელიც რუსთავში მოქმედი ერთ-ერთი სარეკლამო სააგენტოს იურისტია და, მისი თქმით, ეს ეჭვებიც აქედან მომდინარეობდა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სავლე მოთიაშვილის მეუღლის – ნათია რამიშვილის, განცხადება, რომლის თანახმადაც, ქალბატონი რამიშვილის კომპანია მომსახურებას უწევს აბსოლუტურად ყველა კომპანიას, განურჩევლად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა. განცხადების თანახმად, „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ არცერთი წარმომადგენელი მის კომპანიას და უშუალოდ ქალბატონ ნათიას არ დაკავშირებია და, შესაბამისად, არც რაიმე სახის ხელშეკრულების პირობებზე ყოფილა შეთანხმება. აქედან გამომდინარე, განცხადების თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდება ყველანაირ საფუძველს იყო მოკლებული.

როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა განაცხადა, კონტრაქტი უკვე შედგენილი იყო და სავარაუდოდ სწორედ სავლე მოთიაშვილის მიერ საკუთარ მეუღლეზე ზეწოლის შედეგად არ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას, ხსენებული კონტრაქტის პროექტის კომისიისთვის წარედგინა შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ სიტყვა გადასცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, რომელმაც ისაუბრა სხდომის დაწყებამდე შემოტანილ განცხადებებზე; მათ შორის, ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ ყურადღება გაამახვილა ონში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ოთარ სირაძის ბანერის დაწვის ფაქტზე; ასევე, ცაგერში, ლენტეხსა და ამბროლაურში ამ კანდიდატის ბანერების/ბილბორდების შესაძლო ჩამოხსნა/მოპარვის თაობაზე. მოცემულ ფაქტებთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებისთვის ნაჩვენები იქნა ვიდეომასალა.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მართალია, განცხადება სხდომის დღეს შემოვიდა, თუმცა, კომისიის სამდივნომ ეს თემა მედიამონიტორინგის საშუალებით მანამდეც მოიძია და გადაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელსაც რიგ ფაქტებზე გარკვეული პასუხები უკვე მზად ჰქონდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ონში სარეკლამო ბანერი იყო ნაწილობრივ დამწვარი, რასთან დაკავშირებითაც დაწყებულია გამოძიება სსკ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (სხვისი ქონების დაზიანება). გამოძიებას აწარმოებს ონის რაიონული სამმართველო. ცაგერში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლებმა შენიშნეს, როგორ აკრავდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ბანერს. მათ მოიკითხეს – იყო თუ არა შესაბამისი თანხმობა და მოსაკრებელი გადახდილი. სწორედ შესაბამისი ნებართვის არარსებობის გამო შეწყდა ბანერის გაკვრის პროცედურა.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გადასცა თემასთან დაკავშირებული შემოსული კორესპონდენცია და მოუწოდა ოპერატიული რეაგირებისკენ.

ამასთან დაკავშირებით ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს ბანერების გაკვრას, მათი ოპონენტების მიერ კი ეს ხდება არალიცენზირებულად. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, ბანერის ჩამოხსნა შესაძლებელია, უკავშირდებოდეს არალიცენზირებულ ბილბორდებზე გაკრულ სააგიტაციო მასალას.

ქალბატონმა თინათინ ბოკუჩავამ, ასევე, ისაუბრა ბოლნისში მათ კანდიდატ სამირა ისმაილოვას საარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის და ჩაშლის მცდელობის ფაქტზე სოფელ მამხუთში სოფლის რწმუნებულ აივაზ გუსეინოვას მხრიდან, რა დროსაც ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას; თელავში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გიორგი ბოტკოველის სარეკლამო ბილბორდის ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანების თაობაზე; ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ელენე ხოშტარიას საარჩევნო შტაბზე განხორციელებული ქონების მნიშვნელოვანი დაზიანებისა და განადგურების თაობაზე.

ქალბატონმა ნინო მინდიაშვილმა ელენე ხოშტარიას საარჩევნო შტაბის მინის დაზიანების ფაქტზე განაცხადა, რომ ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე ჩატარდა საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა, რომლის თანახმადაც, მინის დაზიანებამ გამოიწვია 99 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანი. ასევე, მიმდებარე მაღაზიიდან ამოღებულ იქნა სათვალთვალო კამერის ჩამწერი მოწყობილობა, რომელზეც დანიშნულია საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა.

მანვე სხდომაზე დამსწრე პირებს მიაწოდა ინფორმაცია ბოლნისში სამირა ისმაილოვას საარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის მცდელობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ბოლნისის რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მამხუთში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრებსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის მომხდარი ჩხუბის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოიკითხნენ ინციდენტში მონაწილე პირები, განცხადებაში მოყვანილ სავარაუდო დაზარალებულს ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, მას სხეულზე არანაირი დაზიანების კვალი არ აღენიშნება.

აივაზ გუსეინოვასთან დაკავშირებით დამატებითი კომენტარი გააკეთა ნიკოლოზ როსებაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ განცხადებაში ეს პიროვნება მოხსენიებულია როგორც სოფლის რწმუნებული, რაც სიმართლეს არ შეესაბამება – იგი 2015 წლიდან გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა მოწოდებული ინფორმაციისთვის. აქვე მან მოუწოდა, უწყებამ დროული რეაგირება განახორციელოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლის მიერ მოყვანილ ამ და სხვა დანარჩენ ფაქტებზე; ამასთან, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განცხადებები, უკლებლივ ყველა, უკვე გადაგზავნილი იყო შესაბამის უწყებებში რეაგირებისათვის.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა სხდომაზე, ასევე, დააყენა საკითხი 2014 წლის 18 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული გამგებლის მიერ გამოცემული ბრძანებების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებული პირები დაკავებული თანამდებობიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლდნენ. 18-მა მათგანმა მომხდარი ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ეს პირები აღადგინა სამსახურში, უზენაესმა სასამართლომ კი სააპელაციოს გადაწყვეტილება დატოვა ძალაში. სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე გამგებელს დაევალა სამსახურში ამ პირთა დაუყოვნებლივ აღდგენა, ამასთან, მათთვის მიყენებული ზარალის (ნახევარი მილიონი ლარი) ანაზღაურება. მიუხედავად ამისა, გამგებელი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას და ეს თანამშრომლები სამსახურში ამ დრომდე არ აღუდგენია.

რაკი საქმე ეხებოდა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებას, ბატონმა ირაკლი კობახიძემ სთხოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, თუ იყვნენ ეს პირები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები. თინათინ ბოკუჩავას განმარტებით, შესაძლოა, ამ პირებს არ ჰქონდათ პარტიული მოწმობები, მაგრამ იყვნენ პოლიტიკურად აქტიურები და სწორედ ამ ნიშნით მოხდა მათი გათავისუფლება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კი მხოლოდ შუამდგომლობდა მათ.

ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, სასამართლო სააღსრულებლო ფურცელი შეიცავდა ხარვეზს, კერძოდ, სააღსრულებო ფურცლის თანახმად, ერთ თანამდებობაზე რამდენიმე პირი იყო აღდგენილი, ამიტომ მარტვილის გამგეობამ დასაზუსტებლად და ხარვეზის აღმოსაფხვრელად სააღსრულებო ფურცელი გადააგზავნა სასამართლოში. ამჟამად გამგეობა ელოდება სასამართლოს პასუხს.

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონ თინათინ ბოკუჩავას მიმართა კითხვით დაეზუსტებინა – რა მიუთითა სასამართლომ გადაწყვეტილებაში გათავისუფლების მიზეზად, რაკი თავად ქალბატონი თინათინი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე აპელირებდა. მან გადაწყვეტილებიდან მცირე მონაკვეთი ამოიკითხა, სადაც მითითებული იყო, რომ

მარტვილის გამგეობის თანამშრომლები უკანონოდ იქნენ გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან. პოლიტიკურ ნიშანზე ჩანაწერი არ იყო.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხზე შეჯამების სახით განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად უნდა აღსრულდეს, თუმცა, ამ ეტაპზე უმჯობესი იქნებოდა, დალოდებოდნენ სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცლის დაზუსტებას და ხარვეზის აღმოფხვრას. და თუ ამის შემდეგ გამგეობა არ აღასრულებდა გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით, უკვე შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართვა.

სხდომის მიმდინარეობისას კომისიის თავმჯდომარემ მოკლე განცხადება გააკეთა და მიესალმა სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ცესკო-ს საარჩევნო ბლოკ „თოფაძე, მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ საარჩევნო რეგისტრაციის აღდგენა დაევალა. ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ საკითხზე საზოგადოების ნაწილში არსებობდა კითხვები და კარგია, რომ დღეს საქართველოში სასამართლოს გამოაქვს ოპოზიციური პარტიის სასარგებლო გადაწყვეტილება, ხოლო ცესკო-ს უფლება აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება.

სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ითხოვა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“), რომელიც შეეხო „თოფაძე, მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ რეგისტრაციის აღდგენის საკითხს და ა(ა)იპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენლის, ბატონი მიხეილ ბენიძის განცხადებას. ბატონი დანიელ დავითაშვილის აზრით, არ არის მართებული ბატონი მიხეილის მიერ მედიაში გამოთქმული შეფასებები კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ის პირადად არ ესწრება სხდომებს და არ არის დეტალურად ინფორმირებული.

ქალბატონი თეა წულუკიანი გამოეხმაურა გამომსვლელს და განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია ნებისმიერი სახის შეფასების გაკეთება, მაგრამ, უმჯობესია, კომისიაში წარმოდგენილი ორგანიზაციებიდან შეფასებები გააკეთონ ისეთმა პირებმა, რომლებიც რეალურად ესწრებიან სხდომებს და საქმის კურსში არიან კომისიის მიერ განხორციელებულ რეაგირებებზე, რადგან მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული განცხადებები არაერთგვაროვან აღქმას იწვევს და აბნევს საზოგადოებას.

ქალბატონმა ნინო რიჟამაძემ („სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“) კომენტარი გააკეთა საკითხზე და განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მედიასაშუალებების მიერ სხვადასხვაგვარად გაშუქდა ორგანიზაციის

ანგარიში და შეფასებები, ხოლო ვინც უშუალოდ ანგარიშს ნახავდა, დარწმუნდებოდა მისი სიტყვების სისწორეში.

კომისიის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ შეეხო კოტრაქციების საკითხს და დამსწრე პოლიტიკური პარტიების (საარჩევნო სუბიექტების) წარმომადგენლებს მიმართა, რომ კომისია მკაცრად გააკონტროლებდა საკითხს და აწარმოებდა რეგულარულ მონიტორინგს, ხოლო შედეგებს ეტაპობრივად გააცნობდა, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტი არ ითვალისწინებს კომისიის რეკომენდაციებს და ვისი მხრიდან იყო ხშირი დარღვევები.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის და მომდევნო სხდომის თარიღად გამოაცხადა 2016 წლის 21 სექტემბერი, ოთხშაბათი, 18.00 საათი.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – თინათინ ბოკუჩავა;
- „ზვიადის გზა – უფლის სახელით“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;
- „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი“ – პაატა ჯიბლაძე;
- „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ირაკლი კობახიძე;

სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ნინო რიჟამაძე.

სხდომაზე გამართული დისკუსიის შეჯამების შედეგად კომისიამ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაცია:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაცია

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას, რეკომენდაციით მიმართავს

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო სუბიექტებს):

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე პოლიტიკურმა პარტიებმა (საარჩევნო სუბიექტებმა) მიმართონ ყველა ძალისხმევას, რათა უზრუნველყონ, რომ მათმა აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა თავი შეიკავონ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ან მათი კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისგან, ასევე, ამ შეხვედრების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი კონტრაქციისგან, რითაც უნდა გამოირიცხოს პოლიტიკურ ნიადაგზე სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირების რისკი.

სხდომა დასრულდა 22.00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: